# იჯარის ხელშეკრულება

ქ. გურჯაანი 3 დეკემბერი 2014 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *შ.პ.ს. „ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი"-სა* (შემდგომში „მეიჯარე")
*მდებარე გურჯაანის რაიონი სოფ. ჩუმლაყი*

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ *შ.პ.ს. „გრუზვინპრომი"-ს* (შემდგომში „მოიჯარე") შორის.
*მდებარე ქ. გურჯაანი კოსტავას ქ. №1*

## 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია „მოიჯარის," შ.პ.ს. „გრუზვინპრომი"-სთვის შ.პ.ს. „ *ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი* "-ს ბალანსზე რიცხული 6 ცალი გოგირდის ბალონის იჯარით გადაცემა.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

1. გოგირდის ბალონების საიჯარო ღირებულება განისაზღვრება დაბრუნებამდე 150 ლარით დღგ-ს ჩათვლით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1 „მეიჯარე" ვალდებულია გამართულ მდგომარეობაში გადასცეს „მოიჯარეს" გოგირდის ბალონები.
2. „მეიჯარე" უფლებამოსილია „მოიჯარისაგან" მოითხოვოს ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურება.
3. „მოიჯარე" ვალდებულია „მეიჯარეს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს საიჯარო ქირა.
4. „მოიჯარე" ვალდებულია „მეიჯარეს" გამართულ მდგომარეობაში დაუბრუნოს მასზე იჯარით გადაცემული ქონება.
5. „მოიჯარე" საიჯარო ქონების დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია „მეიჯარეს" სრულად აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

საიჯარო ქონების გადაცემაზე და უკან დაბრუნებაზე ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

## 6. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
2. ანგარიშსწორება მოხდება გოგირდის ბალონების უკან გადაცემის შემდეგ გაფორმებული **„მიღება-ჩაბარების"** აქტის ხელმოწერისთანავე.
3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება ნაღდი/უნაღდო.

## 7. ფასები

ფასები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. უფლებების გადაცემა

„მოიჯარეს“ არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 10. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. დავების გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

2. თუ „მოიჯარე“ და „მეიჯარე“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს შ.პ.ს. „**გრუზვინპრომი**”-ს მიერ იჯარით აღებული გოგირდის ბალონების შ.პ.ს. „**ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი**“-სთვის უკან დაბრუნებამდე, ხელშეკრულების მაქსიმალურ ვადათ განისაზღვროს 2015 წლის 28 თებერვალი.

2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**მოიჯარე:**

**შ.პ.ს. „გრუზვინპრომი“**
**ქ. გურჯაანი კოსტავას ქ. №1**
**ს/ნ 231289290**
**ბანკი ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს**
**გურჯაანის ფილიალი**
**ბანკის კოდი BAGAGE22**
**ანგ.№ GE15BG0000000265574900**

**დირექტორი:**

/ დ. თოფურიძე /

**მეიჯარე:**

**შ.პ.ს. „ალკოჰოლური სასმელების**
**კომპანია ალავერდი“**
**გურჯაანის რ-ნ ს.ჩუმლაყი**
**ს/ნ 227771444**

**დირექტორი:**

/ზ. ბეჟაშვილი/